



# სამეცნიერო კონფერენცია

ფუტუროლოგია და იმედი:  
პროგნოზები, შესაძლებლობები, გამოწვევები

## SCIENTIFIC CONFERENCE

FUTUROLOGY AND HOPE: PREDICTIONS, OPPORTUNITIES, CHALLENGES

02 ივნისი 2025 წელი  
აბსტრაქტების კრებული

Abstracts Book  
June 2, 2025

სულხან-საბაორბელიანის უნივერსიტეტი  
კ. ქუთათელაძის ქ. #3, თბილისი, საქართველო  
Sulkhan-Saba Orbeliani University  
3 K. Kutateladze Street, Tbilisi, Georgia

**სამეცნიერო ჯგუფი:**

დimitრი გეგენავა; ვაჟა ვარდიძე; ნინო პაპაჩაშვილი; იზოლდა ხოხაშვილი; გურამ ანანეიშვილი; ლაშა ნოზაძე; მზია ჯამაგიძე.

**საორგანიზაციო ჯგუფი:** მზია ჯამაგიძე; შორენა პარუნაშვილი; ანა გოგილაშვილი; შორენა გოგიაშვილი.

**Scientific Committee:** Dimitry Gegenava, Vaja Vardidze, Nino Papachashvili, Izolda Khokhashvili, Guram Ananeishvili, Lasha Nozadze, Mzia Jamagidze

**Organizing Committee:** Mzia Jamagidze, Shorena Parunashvili, Ana Gogilashvili, Shorena Gogiashvili

© გარეკანზე გამოყენებულია ბენკსის სტენსილი *გოგონა ბუშტით* (2002)

© On the cover, Banksy stencil *Girl with balloon* (2002)

აბსტრაქტების შინაარსსა და სტილზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

The authors are responsible for the content and the style of the abstracts.

## შინაარსი

ზრუნვის ეკონომიკის გააზრება ეკოლოგიურ-ეკონომიკური მომავლის კონტექსტით

**ნინო პაპაჩაშვილი** ..... 7

მეცნიერება და ტექნოლოგიები: ხელოვნური ინტელექტის გამოწვევები

**ნინო პოპიაშვილი** ..... 8

ენის კრიზისი თანამედროვე მსოფლიოში

**რუსუდან ასათიანი**..... 9

სამყაროს დასასრულის შიში და დისტოპია -სოციალური პლატფორმების  
ნეიროლინგვისტური ტექსტების მიხედვით

**ნატალია სვანიძე**..... 11

განათლების ფუტუროლოგია ტექნოლოგიური ეპოქის კონტექსტში

**ია იოსელიანი**..... 11

ციფრული დემოკრატიის პარადოქსი: სამოქალაქო ჩართულობა და პოლიტიკური  
ნდობა საქართველოში

**თამარ ჩარკვიანი**..... 12

საქართველოს ხმა ამერიკის შეერთებულ შტატებში(ლობისტური საქმიანობის თვისებრივი  
ანალიზი)

**მარიანა ქეცხიშვილი** ..... 14

აპოკალიპტური მომავლის განწყობისეული საფუძვლები

**დავით ბარათაშვილი** ..... 15

“Solarpunk” და “Cyberpunk” – პოლიტიკური ფილოსოფია, ადამიანის ბუნება და ჩვენს მიერ  
წარმოსახული მომავალი

**იოსებ ედიშერაშვილი** ..... 17

პირველი მსოფლიო ომი და ქართული საზოგადოება განსხვავებული ხედვები, მოლოდინები  
და იმედი

**ირაკლი ნოდია**..... 18

მსოფლიოს დასასრულის კონცეფციის ისტორიული განვითარება პოლიტიკურ  
მეცნიერებაში

**ნიკოლოზ ბიწაძე**..... 19

მიკროაპოკალიფსის კონცეპტის ჰუმანისტური პროგნოზირების პარადიგმული მოდელი

**მანანა კვატაია** ..... 19.

მუსიკა, მისტიციზმი და უტოპია: სკრიაბინის „მისტერიის“ ეზოთერული სამყარო

**გვანცა ღვინჯილია**..... 20

ხელოვანთა ჩანაფიქრები, რომლებმაც შეცვალა სამყარო

<b>ნუგზარ ბარდაველიძე</b> .....	21
მარგარეტ ეტვუდის „ორიქსი და კრეიკი“: პოსტჰუმანისტური რეალობა ბიოტექნოლოგიურ ეპოქაში	
<b>თამთა ამირანაშვილი</b> .....	22
სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრული მარკერები და ქართული სამეცნიერო ფანტასტიკა	
<b>ლევან გელაშვილი</b> .....	23
ადამიანის ტრანსფორმაციის მექანიზმები: ახალი ადამიანის დაბადება მეცნიერების მეშვეობით ოცდამეერთე საუკუნის დისტოპიურ ლიტერატურაში. (მიშელ უებლევკი, კაზუო იმიგურო და ზურა ჯიშკარიანი ნაშრომები)	
<b>ეკატერინე ჭუმბურიძე-შეწირული</b> .....	24
ადამიანები და მოვლენები დროის ერთიანობის კონტექსტში (თამრი ფხაკაძის რომან „ჩვენ, თურმელების“ მიხედვით)	
<b>მაია ჯალიაშვილი</b> .....	25
თეოკრატიული მომავლის ლიტერატურული მოდელები უტოპიასა და დისტოპიას შორის	
<b>ლევან ცაგარელი</b> .....	26
ფემინური ჰეტეროტოპია, კონტრ- და უტოპიური სივრცე ქართველი ქალი ავტორების შემოქმედებაში	
<b>სალომე პატარიძე</b> .....	27
ეროვნული მომავლის მოდელები მე-18 და მე-19 საუკუნეების ქართულ ლიტერატურულ ნარატივებში	
<b>ცირა კილანავა</b> .....	28
პოსტკოლონიური უტოპიანიზმი და ნაციონალური მომავლის გახსენება იოანე-ზოსიმეს ტექსტის „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ მიხედვით	
<b>მზია ჯამაგიძე</b> .....	28
დისტოპიური ნარატივების სოციოკულტურული და პოლიტიკური ასპექტები	
<b>ალექსანდრა დეკანოსიძე</b> .....	29

Content

Understanding the Care Economy in the Context of an Ecological-Economic Future

**Nino Papachashvili** .....

Science and Technology: The Challenges of Artificial Intelligence

<b>Nino Popiashvili</b> .....	32
The Crisis of a Language in the Modern World	
<b>Rusudan Asatiani</b> .....	33
The Fear of the End of the World, and Dystopia in Georgian Social Media- Narratives	
<b>Natalia Svanidze</b> .....	34
Futurology of Education in the Context of the Technological Era	
<b>Ia Ioseliani</b> .....	34
The Paradox of Digital Democracy: Civic Engagement and Political Trust in Georgia	
<b>Tamar Charkviani</b> .....	35
Solarpunk” and “Cyberpunk” – Political Philosophy, Human Nature, and the Imagined Future	
<b>Ioseb Edisherashvili</b> .....	37
The First World War and Georgian Society - Different visions, expectations, and hopes	
<b>Irakli Nodia</b> .....	38
The Historical Development of the Concept of the End of the World in Political Science	
<b>Nikoloz Bitsadze</b> .....	39
Paradigmatic Model of Humanistic Forecasting of the Micro-Apocalypse Concept	
<b>Manana Kvataia</b> .....	39
Music, Mysticism, and Utopia: The Esoteric World of Scriabin’s <i>Mysterium</i>	
<b>Gvantsa Ghvinjilia</b> .....	40
Artists' Visions, which Transformed Reality	
<b>Nugzar Bardavelidze</b> .....	40
Margaret Atwood's "Oryx and Crake": Posthuman Reality in a Biotechnological Age	
<b>Tamta Amiranashvili</b> .....	41
Genre Markers of Science Fiction and the Early Phase of Georgian Science Fiction	
<b>Levan Gelashvili</b> .....	42
The mechanisms of human transformation: the birth of a new man through science. (Michel Houellebecq, Kazuo Ishiguro, and Zura Jishkariani)	
<b>Ekaterine Chumburidze-Shetsiruli</b> .....	43
People and Events in the Context of the Unity of Time (According to Tamri Phkhakadze's novel "We, the Turmels")	
<b>Maia Jaliashvili</b> .....	44
Modelling Theocratic Future between Utopia and Dystopia	

<b>Levan Tsagareli</b> .....	45
Female Heterotopia, Counter and Utopian Space in the Work of Georgian Female Authors	
<b>Salome Pataridze</b> .....	45
Models of National Future in 18th- and 19th-Century Georgian Literary Narratives	
<b>Tsira Kilanava</b> .....	46
Postcolonial Utopianism and the Recollection of National Future in Ioane-Zosime's Text „Praise and Exaltation of the Georgian Language“	
<b>Mzia Jamagidze</b> .....	47
Socio-Cultural and Political Aspects of Dystopian Narratives	
<b>Alexandra Dekanosidze</b> .....	47

## ზრუნვის ეკონომიკის გააზრება ეკოლოგიურ-ეკონომიკური მომავლის კონტექსტით

ნინო პაპაჩაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, საქართველო

**საკვანძო სიტყვები:** ზრუნვის ეკონომიკა, ეკოლოგიური-ეკონომიკური ფუტუროლოგია, სისტემური აზროვნება, მდგრადი განვითარების მიზნები, მრავალმხრივი თანამშრომლობა.

გლობალური ეკოლოგიურ-ეკონომიკური გამოწვევებისა და საერთაშორისო მასშტაბის არაერთგზის დაძაბულობის ზრდის ფონზე მატულობს მომავლის განუსაზღვრელობა. შესაბამისად გამოსავლის გზების ძიებაც საზოგადოების, მათ შორის აკადემიური და პოლიტიკური წრეების, დიდ ინტერესს იწვევს.

როგორ მივიდა მსოფლიო საზოგადოება არაერთმხრივ კრიზისამდე? ცხადია, ცალსახა პასუხი არ არსებობს, მაგრამ სიღრმისეულ ძიებებს სამომავლოდ ცნობიერების გაფართოებაში სავარაუდო დახმარების გაწევა შეუძლია.

ნაშრომში, ერთი მხრივ, მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის გამოწვევებია წარმოდგენილი და მეორე მხრივ, სისტემური აზროვნების მნიშვნელობაზეა ყურადღება გამახვილებული.

შემოთავაზებულია ზრუნვის ეკონომიკის ფართო კონტექსტით განხილვის აუცილებლობა და პოპულარიზაცია. ტრადიციული მოდელებისგან განსხვავებით, ნაშრომი ზრუნვის ეკონომიკას განიხილავს არა მხოლოდ როგორც გადაუხდელ შრომას, არამედ როგორც ადამიანური კაპიტალის განვითარების, სოციალური თანასწორობის, ეკოლოგიურ-ეკონომიკური მდგრადობისა და კრიზისებისადმი მედეგობის ხელშემწყობ ფართო კონცეფციას.

ზრუნვის ეკონომიკის გააზრება, ეკოლოგიურ-ეკონომიკური მომავლის კონტექსტით, ხაზს უსვამს სისტემური აზროვნებისა და მრავალმხრივი თანამშრომლობის მნიშვნელობას მდგრადი განვითარების მიზნების გამოწვევების საპასუხოდ. გამოკვეთილია, რომ ზრუნვის ინტეგრირება ეკონომიკურ და გარემოსდაცვით პოლიტიკაში, გლობალურ თანამშრომლობასთან ერთად, ხელს შეუწყობს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას,

მათ შორის მშვიდობიანი თანაარსებობის, ღირსეული შრომისა და ეკონომიკური ზრდის, უთანასწორობის შემცირების, მდგრადი მოხმარება-წარმოების და ა.შ. მიმართულებით, რაც უფრო სამართლიან და მდგრად მომავალს უზრუნველყოფს.

## **მეცნიერება და ტექნოლოგიები: ხელოვნური ინტელექტის გამოწვევები**

**ნინო პოპიაშვილი**

ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**საკვანძო სიტყვები:** ხელოვნური ინტელექტი, მეცნიერება, ტექნოლოგიური განვითარება.

მეცნიერების ტრადიციულ ჩარჩოებში, რომელიც გულისხმობს წყაროებზე დაყრდნობით არგუმენტირებულ კვლევას, ბოლო ხანს, ტექნოლოგიური განვითარების თვალსაზრისით, მრავალი სიახლე დაინერგა. აღსანიშნავია ელექტრონული სწავლების შესაძლებლობები, რომლებიც სამეცნიერო სფეროსაც დაუკავშირდა. მათ შორის, ღია მეცნიერების პერსპექტივა, ელექტრონული სამეცნიერო ბიბლიოთეკები და სამეცნიერო ბაზები, სამეცნიერო ნაშრომების აკადემიური ეთიკის ნორმების დაცვის პერსპექტივიდან შემოწმება და სხვ. თუმცა ყველაზე დიდი სიახლე განათლებაში და, მათ შორის, მეცნიერებაში, არის ხელოვნური ინტელექტი.

ტექნოლოგიური განვითარების შედეგად, ხელოვნური ინტელექტის დანერგვა საგანმანათლებლო სივრცეში სავალდებულო და მნიშვნელოვანი გახდა. ხელოვნური ინტელექტი გამოიყენება სხვადასხვა დისციპლინაში, რაც კიდევ უფრო ფართოვდება. ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობები, ინდივიდუალური მიდგომები სწავლა-სწავლების პროცესში და სხვა, განაპირობებს, რომ ხელოვნური ინტელექტი ჩართულია არა მხოლოდ საგანმანათლებლო, არამედ სამეცნიერო პროცესშიც, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს არასწორი მოლოდინები, არასწორი უნარების განვითარება და სამეცნიერო საქმიანობის სტრუქტურული დეფორმირება. ზოგიერთ შემთხვევაში, ხელოვნური ინტელექტის უკიდუგანო, წარმოუდგენლად მასშტაბური შესაძლებლობები აღძრავს უტოპიური მომავლის პერსპექტივას, რაც კიდევ უფრო დისტოპიურად წარმოაჩენს ინდივიდის წვლილს განვითარებაში, სამეცნიერო პროგრესში.

ხელოვნური ინტელექტის გამოწვევების რეგულირება საგანმანათლებლო და სამეცნიერო სფეროებში ძალზე მნიშვნელოვანია. 2025 წლის 2 თებერვლიდან ძალაში შედის ხელოვნური ინტელექტის შესახებ კანონი, „ხელოვნური ინტელექტის აქტი“, რომელიც განსაზღვრავს

ევროპის მასშტაბით ხელოვნური ინტელექტის გამოყენების რისკებსა და მათზე მეთვალყურეობის ვალდებულებებს. აქტი განსაზღვრავს ევროკავშირის 27 წევრი სახელმწიფოსათვის ერთიან წესებს ხელოვნური ინტელექტის სისტემების გაყიდვისა და გამოყენების თაობაზე და პასუხისმგებლობას აკისრებს როგორც მომხმარებლებს, ისე, განსაკუთრებით, ხელოვნური ინტელექტის შემქმნელ და გამავრცელებელ ორგანიზაციებს. კანონში რისკის ჯგუფებს შორის გამოიყოფა ხელოვნური ინტელექტის სისტემების კონტროლი განათლებაში.

მოხსენებაში ვისაუბრებთ მეცნიერების ტექნოლოგიურ გამოწვევებზე ხელოვნური დანერგვის ინტელექტის პერსპექტივიდან.

## ენის კრიზისი თანამედროვე მსოფლიოში

### რუსუდან ასათიანი

ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი, ასოც. პროფესორი

ოსუ, თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

**საკვანძო სიტყვები:** სემიოტიკური ნიშანი, მოდერნიზმი, პოსტმოდერნიზმი, მეტამოდერნიზმი, ოქსიმორონი

მოდერნიზმს, პოსტმოდერნიზმსა და მეტამოდერნიზმს შორის სხვაობების გაანალიზება სემიოტიკური ნიშნის თეორიის ჭრილში შემდეგი ხასიათის დაკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა.

მოდერნიზმსა და პოსტმოდერნიზმში ნიშანი, რომელიც შინაარსისა და გამოხატულების პლანების სიმბიოზური მთლიანობაა, გარკვეულ დეკონსტრუქციას განიცდის:

1. მოდერნიზმისთვის დამახასიათებელია ნიშნის გამოხატულების პლანთან დაკავშირებული ექსპერიმენტების შედეგად ფორმის ნგრევა: აბსტრაქციონიზმი, კუბიზმი, ფუტურიზმი, დადაიზმი, ავანგარდიზმი, სიმბოლიზმი და სხვა; თუმცა შინაარსის პლანის მთლიანობა საერთო დისკურსისთვის ძირითადად შენარჩუნებულია და მხოლოდ სუბიექტური ინტერპრეტაციების ჩარჩოებში ექცევა; ხოლო

2. პოსტმოდერნიზმის ძირითადი მახასიათებელია შინაარსის პლანთან დაკავშირებული ექსპერიმენტული მანიპულაციები: ტექსტის ეკლექტიზმი და ინტერტექსტუალობა, ტექსტის დეკონსტრუქცია და დეცენტრალიზაცია (მყარი შინაარსების მოშლა), ქაოსი და ჰიპერრეფლექცია, ავტორსა და ამ ტექსტის აღმქმნელს შორის ზღვრის მოშლა, ზედროული და ზესივრცული პროექციები, რეალობის ირონიზაცია და, საერთოდ, მისი უარყოფა და სხვა. ამ პროცესის ლოგიკური დასასრულია ერთიანი დისკურსის გაქრობა: დივერგენციის შედეგად

ქვედისკურსებად დანაწევრებული შინაარსის პლანის რღვევის ლოგიკური შედეგია საერთო სოციუმისთვის ერთიანი შინაარსის სრული მოშლა. პოსტმოდერნიზმის კრედაა: ყველაფერი შესაძლებელია! პოსტმოდერნულ სამყაროში ქვედისკურსებად დეკონსტრუირებული ნიშნის შინაარსის პლანი ფაქტობრივად ქმნის „ვირტუალურ სამყაროებს“. ამგვარად დივერგირებულ, ვირტუალურ სივრცეში მყოფ ადამიანებს შორის კომუნიკაცია შეფერხებულია, მეტიც, ფაქტობრივად თითქმის შეუძლებელია.

ენა ამ კომუნიკაციური კრიზისისგან თავის დაღწევას ცდილობს და თავის რეფერენციული, ნომინაციური ფუნქციის შესანარჩუნებლად იწყებს დეკონსტრუირებული ნიშნის დანგრეული ფორმისა (res. მოდერნი) თუ დანგრეული შინაარსის (res. პოსტმოდერნი) ახლებურ რეკონსტრუქციას, რაც

3. მეტამოდერნიზმის მთავარი მახასიათებელია. მეტამოდერნიზმი ცდილობს შეავსოს „ცარიელი“ შინაარსის პლანი პლურალურობის შენარჩუნებით იმგვარად, რომ თუნდაც საპირისპირო მნიშვნელობებს ერთ ოქსიმორონულ აღსანიშნ კონცეპტად აერთიანებს: გმირი-მხდალი, ბოროტი-კეთილი, სიცოცხლე-სიკვდილი და ა.შ. იგი მოიცავს პარადოქსებს, ალტერნატიულ რეალობებს, მრავალფეროვან (თუნდაც საპიროსპირო) ემოციებს, რომლებიც ბუნებრივად ახლავს ცხოვრებას.

მეტამოდერნიზმა, როგორც ტენდენციამ, თავისი პლურალისტური იდენტიფიკაციით მოახდინა ისეთი მგრძნობელობის სახელდება, რომელსაც ბევრი ცალ-ცალკე აკვირდებოდა, ახლა კი ეს განსხვავებულობები შეიძლება განიხილებოდეს როგორც შემეცნების ერთი, მთლიანი საგანი.

ადამიანები ისწრაფვიან კომუნიკაციისკენ და ითხოვენ ცვლილებებს. მეტამოდერნიზმი ცდილობს გადალახოს კომუნიკაციური კრიზისი მსოფლიოს პლურალისტური დიქოტომიის ასახვით. თუმცა, მეორე მხრივ, მეტამოდერნიზმი ხელს უწყობს ამბივალენტური და ფსიქიკურად პრობლემური კონცეპტების ჩამოყალიბებას და ფაქტობრივად მხოლოდ „ილუზიურ“ საკომუნიკაციო სივრცეს ქმნის, რამდენადაც ასეთი „გამაერთიანებელი“ ოქსიმორონული მნიშვნელობები შესაძლებელს კი ხდის "კომუნიკაციას" (ფაქტობრივად, "ვირტუალურ კომუნიკაციას"), მაგრამ ამგვარი კომუნიკაცია "ვირტუალურ" რეალობებს შორის მყარდება და ენის ნომინაციური ფუნქცია კვლავ გასაჭირში რჩება.

ადამიანი, როგორც სოციალური არსება, მეტიც, საზოგადოებრივად ორგანიზებული სოციუმი, მისწრაფვის ენაში გაჩენილი ამ ხარვეზის აღმოფხვრისაკენ და ფაქტობრივად ახალი საკომუნიკაციო სისტემის შექმნის პროცესშია.

## სამყაროს დასასრულის შიში და დისტოპია -სოციალური პლატფორმების ნეიროლინგვისტური ტექსტების მიხედვით

ნატალია სვანიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,  
სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი.

**საკვანძო სიტყვები:** უტოპია; ევტოპია; დისტოპია; აპოკალიფსი;

ჰუმანიტარული ფუტუროლოგია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გლობალურ გამოწვევებზე, აღნიშნული მოვლენა განსაკუთრებით თვალსაჩინოა რუთ ლევიტასის, ტომ მოილანის და რაფაელა ბაკოლინის ნაშრომებში. უტოპია არ უნდა აღიქმებოდეს მხოლოდ საბოლოო მიზნად, არამედ უნდა განიხილებოდეს, როგორც პროცესის ნაწილი, რომელიც შესაძლებელს ხდის ალტერნატიული მომავლის სცენარების შესწავლას. იგი იკვლევს არსებული სოციალური სისტემების კრიტიკას და საზოგადოებრივი სრულყოფის ახალ შესაძლებლობებს ეძებს.

დისტოპიური ლიტერატურა და აპოკალიპტური ნარატივები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კულტურულ წარმოსახვაზე. კრიტიკული დისტოპიები, როგორც ბაკოლინის და მოილანის ნაშრომებშია აღწერილი, გვთავაზობენ შიშისა და უიმედობის მიღმა არსებული პოზიტიური ტრანსფორმაციების ტენდენციას. ეს ნარატივები, გარდა არსებული სისტემების კრიტიკისა, სხვადასხვა საზოგადოებებს უფრო სამართლიანი მომავლის იმედს უღვივებს.

ჩვენი ნაშრომის მიზანია, დავაკვირდეთ სამყაროს დასასრულის შიშის, აპოკალიფსისა და დისტოპია-ევტოპიის მაგალითებს “ფეისბუქის” სოციალური პლატფორმის ნარატივების ფუტუროლოგიურ ტენდენციას 2020 წლიდან 2025 წლამდე; ასევე, გამოვყოთ სოციალური ქსელების ნარატიულ სინტაქსურ კონსტრუქციებში, თანამედროვე ადამიანის შიშების, როგორცაა: კლიმატის ცვლილება, ტექნოლოგიური საფრთხეები და გლობალური კრიზისები, \_ლინგვისტურად მოდელირებული აპოკალიფსური, დისტოპიური და ევტოპიური კონტექსტების მთავარი მარკერები და მოვახდინოთ მათი სეგმენტირება.

**განათლების ფუტუროლოგია ტექნოლოგიური ეპოქის კონტექსტში**

ია იოსელიანი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

**საკვანძო სიტყვები:** განათლება, ტექნოლოგიები, სწავლება

ციფრული ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის განვითარებამ არსებითად გარდაქმნა განათლების ლანდშაფტი. თუ ერთ დროს მასწავლებელი ცოდნის ერთადერთი წყარო იყო, დღეს ის თანასწორად იყოფს სივრცეს პლატფორმებთან, ალგორითმებთან და ჭკვიან მოწყობილობებთან. წარსულის უტოპიური წარმოდგენები „ცოდნის უნივერსალურ ხელმისაწვდომობაზე“ თითქოს რეალობად იქცა — თუმცა ამ რეალობას ახლავს დისტოპიური შიშებიც: სტუდენტების პრობლემა კრიტიკულ აზროვნებაში, ყურადღების დეფიციტი და ადამიანის ემოციური ინტელექტის როლზე კითხვის ნიშნები.

ეს მოხსენება მიმოიხილავს თანამედროვე ტექნოლოგიური ინოვაციების გავლენას მასწავლებლის როლზე, როგორც განათლების აქტიურ აგენტზე. ვისაუბრებთ იმაზე, თუ როგორ შეიძლება შეინარჩუნოს ჰუმანისტურმა სწავლებამ მნიშვნელობა ტექნოლოგიური ბუმის პირობებში და როგორ ხედავენ სტუდენტები და მასწავლებლები ერთმანეთს „ციფრული ფუტურიზმის“ ეპოქაში. განვიხილავთ განათლების როგორც სოციალური პრაქტიკის შესაძლებლობებსა და საფრთხეებს მომავლის პერსპექტივიდან.

წარდგენილი ანალიზი დაეყრდნობა როგორც თეორიულ ფუტუროლოგიურ ჩარჩოებს, ასევე პრაქტიკულ მაგალითებს – დისტანციური სწავლების გამოცდილებას, ტექნოლოგიური პლატფორმების გამოყენებას და სტუდენტების რეფლექსიებს. მოხსენების მიზანია, განათლების სფეროში მომავლის უტოპიური და დისტოპიური სცენარების სინთეზით წახალისოს კრიტიკული მსჯელობა: რა ტიპის ცოდნას ვუწოდებთ ღირებულს მომავლის სამყაროში?

**ციფრული დემოკრატიის პარადოქსი: სამოქალაქო ჩართულობა და პოლიტიკური ნდობა საქართველოში**

თამარ ჩარკვიანი

ასოცირებული პროფესორი

კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

**საკვანძო სიტყვები:** ციფრული დემოკრატია, სამოქალაქო ჩართულობა, პოლიტიკური ნდობა, დეზინფორმაცია, დემოკრატიზაცია

საქართველოში ციფრული დემოკრატიის და ტექნოლოგიური განვითარების საკითხები სულ უფრო აქტუალური ხდება, განსაკუთრებით ბოლო წლების განმავლობაში, როდესაც ინტერნეტის გამოყენების მაჩვენებლები სწრაფად გაიზარდა. არსებობს კვლევები, რომლებიც ხაზს უსვამენ ციფრული პლატფორმების მნიშვნელობას საქართველოს მოქალაქეთა აქტივიზმში, არჩევნების გამჭვირვალობაში და საჯარო პოლიტიკის პროცესებში (სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2023; Freedom House, 2023).

დღეს ციფრული ტექნოლოგიები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დემოკრატიულ პროცესებში, თუმცა მათი გამოყენება მიაჩნდება გარკვეულ პარადოქსებზე. საქართველოში, სადაც პოლიტიკური სისტემის გაძლიერება და ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაცია აქტუალური და პრობლემური საკითხია, ციფრული დემოკრატია გამორჩეულ ყურადღებას საჭიროებს. მიუხედავად იმისა, რომ ციფრული პლატფორმები სამოქალაქო ჩართულობის გაზრდის შესაძლებლობას იძლევა, საქართველოში პოლიტიკური ნდობა კვლავ დაბალია (Freedom House, 2023). ამ კონტექსტში, ციფრული დემოკრატიის პარადოქსი ხელსაყრელი გარემოს შექმნის ნაცვლად, ხშირად ჩანაცვლებულია პოლიტიკური აქტივიზმის ნაკლებობით, ნიჰილისტური განწყობით და კალკულირდება საზოგადოებრივი უნდობლობის ზრდაში (Senek, 2020).

სამოქალაქო ჩართულობისა და პოლიტიკური ნდობის ნაკლებობა საქართველოში ციფრული დემოკრატიის განვითარების პარალელურად უფრო გამოკვეთილია. მიუხედავად ციფრული ტექნოლოგიების ფართო გამოყენებისა, რომელთა მიზანი იყო საზოგადოების აქტიურობა და ინფორმირებულობა, ზოგიერთ შემთხვევაში მათი ეფექტი პირიქით აისახება – ინტერნეტ სივრცეში გაუზარებელი ან მასმედიური პოლიტიკური კამპანიები, პოლიტიკური პარტიების და ხელისუფლების მიმართ მოქალაქეების ნაკლებობა ნდობა, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს სამოქალაქო საზოგადოებაში მაღალი ნევროზისა და უთანხმოების დონესთან (Sunstein, 2018; სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2023).

სამეცნიერო კვლევის მიზანია, შევისწავლოთ ციფრული ტექნოლოგიები (როგორც სოციალური მედია, ელექტრონული პეტიციები და სხვა) რა გავლენას ახდენენ სამოქალაქო ჩართულობასა და პოლიტიკურ ნდობაზე საქართველოში. ციფრული პლატფორმების გავლენების და ფაქტორების იდენტიფიკაცია, რომლებიც ზემოქმედებენ სამოქალაქო აქტივიზმზე და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. საკვლევი კითხვებია:

- რა გავლენა აქვს ციფრულ პლატფორმებს საქართველოს მოქალაქეების პოლიტიკური ნდობის დონეზე და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე?
- რა ფაქტორები და გამოწვევები განსაზღვრავს სამოქალაქო ჩართულობის ზრდას ან დაქვეითებას ციფრულ გარემოში საქართველოში, ხოლო მათი კავშირი პოლიტიკურ ნდობასთან?

კვლევის მეთოდოლოგიური სტრატეგია ემყარება თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მონაცემების ტრიანგულაციას, მეორეული წყაროების და თეორიული კონცეფციების ინტერპრეტაციას. კვლევა ფოკუსირდება 2020 წლის შემდგომი პროცესების შესწავლაზე. თუმცა რეტროსპექტიულად იქნება მოძიებული და გაანალიზებული ყველა მნიშვნელოვანი

მოვლენა, ფაქტი თუ ვითარება, რომლებიც კონტექსტუალურად შესასწავლი საკითხის შესახებ მნიშვნელოვანი და არსებითია. როგორცაა სოციოლოგიური გამოკითხვები, საქართველოს მოსახლეობის პოლიტიკური ნდობის შემსწავლელი კვლევები, ციფრული პლატფორმების გამოყენების ტრენდები და მათი გავლენა სამოქალაქო ჩართულობაზე. პოლიტიკური პლატფორმების შინაარსობრივი ანალიზი და ექსპერტული ინტერვიუები, მონაცემები შეგროვდება სოციალური მედიის პლატფორმებიდან, სამთავრობო ვებგვერდებიდან და არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებიდან. საქართველოს კონტექსტში, მსგავსი კვლევები ჯერ კიდევ შეზღუდულია, თუმცა მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც პოლიტიკურ ტექნოლოგიებზე დაკვირვებას ახორციელებენ.

ყურადღება გამახვილდება სოციალურ მედია სივრცეში გაძლიერებულ დეზინფორმაციაზე და მის ნეგატიურ შედეგებზე დემოკრატიული პროცესებზე. ხელოვნური ინტელექტისა და დემოკრატიის ურთიერთკავშირის საკითხი აქტიურად განიხილება ისეთი ავტორების მიერ, როგორცაა ფრენსის ფუკუიამა (Fukuyama, 2021), რომელიც დემოკრატიული ტრანსფორმაციის კონტექსტში ციფრული ტექნოლოგიების როლს აანალიზებს.

ციფრული დემოკრატიის საკითხი ფართოდ განიხილება თანამედროვე პოლიტიკურ და სოციოლოგიურ კვლევებში. ნიკ სენეკის (Senek, 2020) ნაშრომი ყურადღებას ამახვილებს ციფრული ტექნოლოგიების გავლენაზე პოლიტიკური აქტივიზმის პროცესებზე. კას სანსტაინის (Sunstein, 2018) თეორია ინფორმაციული ბუმტების შესახებ მიუთითებს, თუ როგორ ქმნის სოციალური მედია დახურულ საინფორმაციო გარემოს, რაც ნეგატიურად აისახება დემოკრატიულ დისკუსიებზე. შოშანა ზუბოფი (Zuboff, 2019) კი ციფრულ ზედამხედველობის ეკონომიკაზე ამახვილებს ყურადღებას, რომელიც პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე ზემოქმედებას ახდენს.

## საქართველოს ხმა ამერიკის შეერთებულ შტატებში (ლობისტური საქმიანობის თვისებრივი ანალიზი)

მარიანა ქევხიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, ასისტენტ მკვლევარი

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი, თსუ

საკვანძო სიტყვები: ლობიზმი, ქართული ლობი, აშშ, სტრატეგიული პარტნიორი

ლობიზმი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში წარმოადგენს მნიშვნელოვან მექანიზმს, რომლის მეშვეობითაც ქვეყნები ცდილობენ თავიანთი ეროვნული ინტერესების დაცვას და გლობალურ პარტნიორებთან თანამშრომლობის გაღრმავებას. საქართველო, როგორც გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვანი სახელმწიფო სამხრეთ კავკასიაში, მუდმივად ისწრაფვის საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვისა და საერთაშორისო თანამეგობრობაში პოზიციების განმტკიცებისკენ. ამ კონტექსტში განსაკუთრებული ადგილი უკავია ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობების გაღრმავებას.

საქართველოს მიერ აშშ-ში განხორციელებული ლობისტური საქმიანობა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას, რომლის მიზანია საქართველოს ინტერესების დაცვა და მხარდაჭერის მოპოვება აშშ-ის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და უსაფრთხოების სტრუქტურებში.

ჩვენი საკვლევი კითხვაა, თუ როგორია საქართველოს მიერ ამერიკის შეერთებულ შტატებში განხორციელებული ლობისტური საქმიანობის ძირითადი მახასიათებლები და რა გავლენას ახდენს იგი საქართველოს საგარეო პოლიტიკური მიზნების მიღწევაზე?

კვლევის მიზანია საქართველოს მიერ ამერიკის შეერთებულ შტატებში განხორციელებული ლობისტური საქმიანობის თვისობრივი ანალიზი და მისი ეფექტიანობის შეფასება.

საქართველო სხვადასხვა სტრატეგიას მიმართავს აშშ-ში ლობისტური საქმიანობისას, მათ შორის: პროფესიონალურ ლობისტურ კომპანიებთან თანამშრომლობა, რომლებიც აშშ-ის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან უწყვეტ კომუნიკაციას უზრუნველყოფენ; კონგრესის წევრებთან და სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან პირდაპირი შეხვედრები და ბრიფინგები; კვლევითი ცენტრების (think tank-ების) მხარდაჭერა, რომლებიც ავრცელებენ საქართველოს ინტერესებთან თანხვედრ კვლევებსა და რეკომენდაციებს; მედიასაშუალებების გამოყენება საქართველოს პოზიტიური იმიჯის გაძლიერების მიზნით.

ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს მთავრობისა და ოპოზიციური პარტიების ლობისტური საქმიანობა აშშ-ში 1991 წლიდან დღემდე.

## აპოკალიპტური მომავალის განწყობისეული საფუძვლები

დავით ბარათაშვილი

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში საერთაშორისო პოლიტიკის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის მკვლევარი (CIPRF)

**საკვანძო სიტყვები:** ცივილიზაციის დასასრული, აპოკალიპტური შიში, განწყობის თეორია, ხელოვნური ინტელექტი, ტექნოლოგიური პროგრესი

ცივილიზაციის დასასრულის შიშის საფუძველი ინდივიდუალური დასასრულის შიშია. ხშირად ამ შიშს იხსენიებენ ყველა სხვა შიშის საფუძველად. მაგრამ ცივილიზაციას, ვინაიდან ის კოლექტიური სუბიექტია, არ ახასიათებს სიკვდილის ისეთი ფორმა რომელიც ცივილიზაციაში შემავალი ერთეულის - ინდივიდის - გარდაუვალი ბედია. სოციუმი თაობათა კვლავწარმოქმის გამო სოციალური ევოლუციის პროცესშია ჩაბმული, ინფორმაცია გადადის თაობიდან თაობაში უწყვეტად რომელიც ისტორიის მსვლელობის ჟამს ვითარდება. მიუხედავად ამისა არსებობს სოციუმების სრულად გაქრობის ისტორიული ფაქტები, (პანდემიის, წყალდიდობის, გვალვების და სხვა სტიქიური მოვლენების გამო, რასაც ემატება ომები, მასობრივი მკვლევლობები და სხვა ადამიანური ფაქტორიდან გამოწვეული ფაქტორები), რაც იწვევს აპოკალიპტური დასასრულის შიშს, შიშს იმისა, რომ ერთხელაც ადამიანთა მოდგმა შეიძლება აიგავოს მიწისაგან პირისა, ან არსებული ფორმით შეწყვიტოს არსებობა.

მაშასადამე, სამყაროს დასასრულის იდეა ყველა დროის ადამიანს გააჩნდა მისი ისტორიული განვითარების მასშტაბის შესაფერისი, ხოლო თანამედროვე ადამიანს ის ცივილიზაციის დასასრულის იდეამდე მიჰყავს. ალბერტ აინშტაინის სარკასტული შენიშვნა, რომ „მეოთხე მსოფლიო ომი ჯოხებითა და ქვებით იქნება“, ხაზს უსვამს თანამედროვე ცივილიზაციის მიერ დაგროვილი ენერჯის — განსაკუთრებით ატომურის და თერმობირთულის — დამანგრეველ პოტენციალს. მსოფლიო ომების მეხსიერება ადასტურებს, რომ ცივილიზაციის მონაპოვარი, რომელიც თავდაპირველად პროგრესის საშუალებას იძლევა, შეიძლება გამოყენებულ იქნას განადგურებისთვის.

ცივილიზაციური შიშის ძირითადი საფუძველია ადამიანის მიერ დაგროვებული ენერჯის (ტექნოლოგიური, სამხედრო, ინტელექტუალური) უგუნურად ან ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა. ამას ემატება თანამედროვე კიბერნეტიკული გამოწვევები: მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის შედეგად შექმნილი ხელოვნური ინტელექტი (AI) საფრთხეს უქმნის ადამიანის ევოლუციურ უპირატესობას — ინტელექტს, რადგან უფრო მძლავრი, ავტონომიური ინტელექტის გაჩენა ცივილიზაციის არსებული ფორმით არსებობას ეგზისტენციალური კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

მოხსენება მიმოიხილავს აპოკალიპტური შიშის ფსიქოლოგიურ საფუძველებს დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის პრიზმიდან და გააანალიზებს ცივილიზაციის დასასრულის შიშის მიზანშეწონილობის საკითხს, მისი ალბათური ხდომილებისადმი განწყობით დამოკიდებულებას.

**“Solarpunk” და “Cyberpunk” – პოლიტიკური ფილოსოფია, ადამიანის ბუნება და ჩვენს მიერ წარმოსახული მომავალი**

**საკვანძო სიტყვები:** სოლარპანკი, კიბერპანკი, პოლიტიკური ფილოსოფია, ადამიანის ბუნება, ტექნოლოგიური წარმოსახვები.

ეს პრეზენტაცია იკვლევს სოლარპანკისა და კიბერპანკის კონტრასტულ სპეკულაციურ მომავალს პოლიტიკური ფილოსოფიისა და ადამიანის ბუნების პრიზმაში. ესთეტიკური ჟანრების გარდა, სოლარპანკი და კიბერპანკი კონკურენტ ფილოსოფიურ წარმოსახვას წარმოადგენენ: ერთი წარმოიდგენს იმედიან, მდგრად მომავალს, რომელიც კოლექტიურ გაძლიერებასა და ეკოლოგიურ ჰარმონიაზეა დაფუძნებული, მეორე კი ასახავს დისტოპიურ რეალობას, რომელიც ტექნოლოგიური გაუცხოებით, კორპორატიული დომინირებითა და სოციალური დაშლით არის ჩამოყალიბებული. ცენტრალური კითხვა, რომელსაც ეს პრეზენტაცია ეხება, არის: რას ავლენენ ეს ჟანრები იმის შესახებ, თუ როგორ გვესმის ადამიანის ბუნება და მისგან გამომდინარე პოლიტიკური სტრუქტურები?

მოხსენება ეფუძნება ისეთ მნიშვნელოვან მოაზროვნეებს, როგორცაა თომას ჰობსი, ჟან-ჟაკ რუსო, კარლ მარქსი, მიშელ ფუკო და ჟილ დელუზი, და იკვლევს, თუ როგორ ასახავს თითოეული ჟანრი ძირითად ფილოსოფიურ დამაბულობას - პესიმიზმსა და ოპტიმიზმს, იძულებასა და თანამშრომლობას, გაუცხოებასა და სოლიდარობას შორის. კიბერპანკი გულისხმობს ჰობსისეულ შეხედულებას ადამიანის ბუნებაზე, როგორც ფუნდამენტურად ეგოისტურს, რომელიც მოითხოვს კონტროლსა და წესრიგს, მაგრამ ამავედროულად განთავსებულია კონტექსტში, სადაც სახელმწიფო სუვერენიტეტი დაინგრა და შეიცვალა კორპორატიული ლევიათანებით. მისი მთავარი გმირები არიან ატომიზებული ინდივიდები, რომლებიც ნავიგაციისთვის ემზადებიან „მაღალტექნოლოგიური, დაბალი ცხოვრების“ სამყაროში, საზოგადოებაში, სადაც ტექნოლოგიურმა პროგრესმა არა განთავსუფლება, არამედ მეთვალყურეობა, უთანასწორობა და დეჰუმანიზაცია გამოიწვია. კიბერპანკის სამყარო ასახავს ფუკოს დიფუზური ბიომალაუფლების ხედვას და დელუზის „კონტროლის საზოგადოებას“, სადაც ტექნოლოგია ხდება დომინირების ინსტრუმენტი და არა ემანსიპაცია.

ამის საპირისპიროდ, სოლარპანკი უფრო რუსოვისეული და მარქსისტული ანთროპოლოგიიდან წარმოიშობა. ის ამტკიცებს, რომ ადამიანები არსებითად თანამშრომლობენ და შეუძლიათ ჰარმონიულად იცხოვრონ ერთმანეთთან და გარემოსთან, თუ ისინი გათავსდებიან ექსპლუატაციური სტრუქტურებისგან. სოლარპანკის დეცენტრალიზებული, პოსტკაპიტალისტური საზოგადოებების ხედვა - განახლებადი ენერჯით, ურთიერთდახმარებით და საზოგადოების მდგრადობით - იმეორებს მარქსის მოწოდებას არა მხოლოდ სამყაროს ინტერპრეტაციის, არამედ მისი შეცვლის შესახებ. ის ტექნოლოგიას გადააყალიბებს, როგორც მართვის საშუალებას და არა კონტროლს, ხაზს უსვამს შესაბამის, დემოკრატიულ და ადგილობრივად ფესვგადგმულ ინოვაციას. სოლარპანკი არ არის გულუბრყვილოდ უტოპიური; პირიქით, ის არის „კრიტიკული ოპტიმიზმის“ ფორმა,

რომელიც ეწინააღმდეგება როგორც ტექნო-დისტოპიურ ფატალიზმს, ასევე კლიმატის ნიჰილიზმს.

პრეზენტაცია ასევე განიხილავს ორივე ჟანრის მიერ გაზიარებულ „პანკურ“ ეთოსს: აჯანყებას დომინანტური სისტემების წინააღმდეგ. თუმცა, იქ, სადაც კიბერპანკი გაფრთხილებაა, სოლარპანკი წინადადებაა - ალტერნატიული მომავლის გეგმა, რომლის წინასწარ განსაზღვრაც აწმყოში შესაძლებელია საზოგადოებრივი პრაქტიკისა და პოლიტიკური წარმოსახვის მეშვეობით. თანამედროვე სოლარპანკის მანიფესტებზე, კიბერპანკ მხატვრულ ლიტერატურასა და ფილოსოფიურ თეორიაზე დაყრდნობით, საუბარი აკვირდება, თუ როგორ ასახავს ეს ხედვები უფრო ღრმა პოლიტიკურ ვალდებულებებს: ორგანიზებულია თუ არა საზოგადოება იერარქიის თუ თანამშრომლობის, შიშის თუ ნდობის, ექსტრაქციის თუ რეგენერაციის გარშემო.

საბოლოო ჯამში, შედარება იწვევს კრიტიკულ რეფლექსიას ტექნოლოგიურ წარმოსახვაში ჩადებული პოლიტიკური იდეოლოგიების შესახებ. ეკოლოგიური კრიზისისა და ციფრული ავტორიტარიზმის მომენტში, წარმოვიდგენთ თუ არა მომავალს, რომელიც მხოლოდ დისტოპიას ექსტრაპოლირებს, თუ ისეთ მომავალს, რომელიც ძალაუფლების, საზოგადოებისა და პროგრესის ხელახლა წარმოდგენისკენ გვიბიძგებს? ჩარჩენილები ვართ კიბერპანკის გამაფრთხილებელ რეალიზმში, თუ შეუძლია სოლარპანკის კონსტრუქციულ ოპტიმიზმს დაგვეხმაროს უკეთესი სამყაროს შექმნაში? ფილოსოფიური აზროვნების სპეკულაციურ მხატვრულ ლიტერატურასთან დიალოგში მოყვანით, ეს პრეზენტაცია მიზნად ისახავს როგორც კრიტიკის, ასევე იმედის პროვოცირებას.

## **პირველი მსოფლიო ომი და ქართული საზოგადოება განსხვავებული ხედვები, მოლოდინები და იმედი**

**ირაკლი ნოდია**

აფილირებული ასისტენტი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

**საკვანძო სიტყვები:** მსოფლიო ომი, ქართული საზოგადოება, მოლოდინები და იმედი

პირველი მსოფლიო ომის (1914-1918) დასრულებიდან 100 წელზე მეტი ხანი გავიდა, მაგრამ იგი დღესაც არ კარგავს აქტუალობას. ისტორიაში არის მოვლენები, რომლებიც არ უფერულდება და არ ხუნდება საუკუნეების დაუსრულებელი დინებით. გრანდიოზული მოვლენების სიდიადე და მათი მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა განაპირობებს იმას, რომ არასდროს ქრება მათდამი ინტერესი. სწორედ ასეთ მოვლენათა რიცხვს განეკუთვნება პირველი მსოფლიო ომი. პირველმა მსოფლიო ომმა ბევრი რამ შეცვალა საერთაშორისო არენაზე და მათ შორის საქართველოსთვის, რადგან ამ პერიოდში განსაკუთრებით გაძლიერდა ეროვნული თვითგამორკვევის პროცესი და მთელი ომის განმავლობაში ქართული

საზოგადოება დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს ომის მიმდინარეობას. პირველმა მსოფლიო ომმა ქართულ საზოგადოებაში ეროვნული მუხტი კიდევ უფრო გააღვივა. გააჩინა გარკვეული მოლოდინები და დამოუკიდებლობის იმედი. ომის ბოლოს წელს (1918 წელი) მოხდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, რაც განაპირობა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე პირველი მსოფლიო ომის დროს შექმნილმა საერთაშორისო მოვლენებმა.

## **მსოფლიოს დასასრულის კონცეფციის ისტორიული განვითარება პოლიტიკურ**

### **მეცნიერებაში**

**ნიკოლოზ ბიწაძე**

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

საერთაშორისო პოლიტიკის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი (CIPRF)

**საკვანძო სიტყვები:** პოლიტიკური ფილოსოფია, საზოგადოების დაშლა, მსოფლიოს

დასასრული, ადამიანის ბუნება

ეს სტატია იკვლევს მსოფლიოს დასასრულის კონცეფციის ევოლუციას პოლიტიკურ მეცნიერებაში. სტატია მიმოიხილავს ამ კონცეფციის განვითარებას ძველი პერიოდიდან დღევანდელ თეორიებამდე და რჩება პოლიტიკური მეცნიერების ჩარჩოებში. სტატიაში განხილულია, თუ როგორ აღიქვამდნენ მოაზროვნეები საზოგადოებრივ დაშლასა და საბოლოოდ აპოკალიფსს. სტატია აანალიზებს ამ აპოკალიფტიკური ინტერპრეტაციების გავლენას პოლიტიკური სტაბილურობაზე, ადამიანის ბუნებისა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების როლებზე. დიდი ყურადღება ეთმობა კონკრეტულ ისტორიულ და თანამედროვე მოაზროვნეებს და მთავარი აქცენტი კეთდება იმაზე, თუ როგორ რჩება მსოფლიოს დასასრულის კონცეფცია აქტუალური თანამედროვე სამყაროში. ანალიზი ხაზს უსვამს იმას, რომ ეს კონცეფცია ყოველთვის წარმოადგენდა პოლიტიკური დისკურსის მნიშვნელოვან ფაქტორის და მონაწილეობდა მის ფორმირებაში როგორც ისტორიულად ასევე დღესაც.

**მიკროაპოკალიფსის კონცეპტის ჰუმანისტური პროგნოზირების პარადიგმული  
მოდელი**

**მანანა კვატაია**

ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი,

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

**საკვანძო სიტყვები:** ჟოზე სარამაგუ, დისტოპიური რომანი „სიბრმავე“, მომავლის სოციოლოგიური პრონოზირება.

თანამედროვე სამყაროს ცივილიზაციური მეტმორფოზა ახალი დროითი განზომილებების, ცნობიერების, იდეოლოგიების შექმნას, არსებული სივრცის გაფართოებასა და გადააზრებას ითხოვს. მეცნიერება მომავალზე (future studies) მომავლის სოციოლოგიურ პრონოზირებას გულისხმობს. ამ პროცესების სიღრმისეული განჭვრეტისათვის საგულისხმო მასალას გვთავაზობს დისტოპიური ტექსტები, რომელთა ძირითად მახასიათებლად კონკრეტული პოლიტიკური სისტემის მანკიერი კურსის კრიტიკა ითვლება.

დისტოპიური რომანი „სიბრმავე“ (2005), რომლის ავტორია მაგიური რეალიზმის წარმომადგენელი, ნობელიანტი პორტუგალიელი მწერალი ჟოზე სარამაგუ, კაცობრიობის თანასწორობისა და ჰუმანიზმის იდეას ქადაგებს. ავტორის კონცეფციით, ტექნიკურ საშუალებებზე დამოკიდებული გლობალიზაციის ეპოქის ადამიანი ბუნებასთან, ირგვლივ მყოფ ადამიანებთან კავშირს წყვეტს და თანდათან მორალურ თუ სულიერ სიბრმავეში იძირება. პროვიდენციური რომანის მიხედვით, ქალაქში უცნაური ეპიდემია ვრცელდება: ადამიანები გაურკვეველი გადამდები დაავადებით მოულოდნელად ბრმავდებიან, თითქოს თეთრ, რძის ზღვაში იძირებიან.

ჟოზე სარამაგუს „სიბრმავე“ დაუნდობელ ბრმა არსებათა მიკროაპოკალიფსურ ჯოჯოხეთურ სამყაროს წარმოადგენს, სადაც ადამიანებს ფიზიკურ ხედვასთან ერთად სულიერი მზერაც წართმეული აქვთ. რომანის სიმბოლიკის გააზრება ხსნის ავტორის ინტენციას: მანკიერებებისაგან გათავისუფლების, კათარზისის გზით ადამიანები გადარჩებიან და პირველქმნილ, ღვთაებრივ არსს დაუბრუნდებიან.

**მუსიკა, მისტიციზმი და უტოპია: სკრიაბინის „მისტერიის“ ეზოთერული სამყარო**

**გვანცა ღვინჯილია**

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

ასოცირებული პროფესორი

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია

**საკვანძო სიტყვები:** სულიერი ტრანსფორმაცია არტით, gesamtkunstwerk, იმერსიული ხელოვნება, აპოკალიპტური ესთეტიკა, უტოპია, მუსიკა, მისტიციზმი, ტრანსკულტურული მუსიკალური ხედვა.

ალექსანდრე სკრიაბინის დაუსრულებელი მისტერია (1903–1915) ერთ-ერთ ყველაზე მისტიკური მუსიკალური პროექტია, რომელიც განკუთვნილი იყო ჰიმალაებში შესასრულებლად, როგორც ერთკვირიანი სინთეზური რიტუალი, მუსიკის, ფერის, ქორეოგრაფიის, სურნელისა და არქიტექტურის შერწყმით. ამ სტატიაში განიხილება ნაწარმოების ფილოსოფიური, ესთეტიკური და კულტუროლოგიური ასპექტები, მისი აპოკალიფსური არსი და გავლენა შემდგომ ხელოვნებასა და მედიაზე. სკრიაბინის მხატვრული სინთეზის ვიზიონერული ხედვა წინ უსწრებს თანამედროვე მულტიმედიური და იმერსიული ხელოვნების პრაქტიკებს და წარმოადგენს უტოპიურ პროექტს, რომელიც სცდება ტრადიციული საკომპოზიტორო ნიმუშის ფარგლებს და მიზნად ისახავს კაცობრიობის ტრანსფორმაციას სინთეზური ხელოვნების წყალობით.

ნაშრომის სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ იგი განიხილავს მისტერიას, როგორც წინასწარმეტყველურ ხედვას, უფრო ფართო ტრანსკულტურულ და მეტაფიზიკურ კონტექსტში.

კვლევის მიზანია სკრიაბინის ნაწარმოების პირველწყაროების დადგენა, მისტერიის ფილოსოფიური, მუსიკალური შრეების ანალიზი და მისი თანამედროვე კულტურასა და მულტიმედიურ ხელოვნებაზე გავლენის შესწავლა.

დასკვნაში ხაზგასმულია, რომ სკრიაბინის მისტერია იმერსიული ხელოვნების ის ადრეული ნიმუშია, რომელშიც მუსიკა, ფერი, ქორეოგრაფია, არქიტექტურა და მასში მონაწილე აუდიტორია ერთიან სულიერ და მხატვრულ გამოცდილებაში ერთიანდება. მიუხედავად იმისა, რომ ეს მეტაფიზიკური უტოპიური პროექტი დაუსრულებელი დარჩა, მან ძლიერ გავლენა მოახდინა მხატვრულ წარმოსახვაზე და ტექნოლოგიისა და ტრანსცენდენტური აზროვნების ეპოქაში Gesamtkunstwerk-ის პროტოტიპად იქცა.

## **ხელოვანთა ჩანაფიქრები, რომლებმაც შეცვალა სამყარო**

**ნუგზარ ბარდაველიძე**

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის პროფესორი

**საკვანძო სიტყვები:** ფოლკლორი, ლიტერატურა, სამეცნიერო ფანტასტიკა

უკეთესი სამყაროს შექმნა, ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, ტექნიკური პროგრესი, ბუნების სიკეთეებზე წვდომა, უკეთესი თაობის აღზრდა, ასევე სხვა ერებზე გაბატონება, ბუნების დამორჩილება, უნივერსალური ჯარისკაცების გამოყვანა, ძალაუფლების ხელში ჩაგდება, ყოველთვის იწვევდა ადამიანების ინტერესს. ამიტომაც სხვადასხვა ეპოქებში შექმნილ ფოლკლორულ თუ ლიტერატურულ ნაწარმოებებში აისახებოდა ადამიანის სურვილები და მისწრაფებები თავის სასიკეთოდ შეეცვალა სამყარო. როდესაც არსებული სამყაროში წარმოუდგენლად მიაჩნდათ საკუთარი იდეების რეალიზება, ადამიანები ქმნიდნენ ზღაპრულ (უტოპიურ და დისტოპიურ) სამყაროებს სადაც საკუთარი წარმოსახვით ქმნიდნენ სასურველ საზოგადოებრივ წყობილებებს.

ზღაპრებში, ფანტასტიკური ჟანრის ლიტერატურულ ნაწარმოებებში ცოცხლდებოდა არარეალური ხატებები, რომელთაც შემდგომ ინჟინერ-გამომგონებლები, ტექნიკური პროგრესის განვითარებასთან ერთად, ანიჭებდნენ რეალურ სახეს. ასე რომ ფუტურისტული იდეები რომლებიც მხატვრულ ნაწარმოებებში ყალიბდებოდა, ხელს უწყობდა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარებას. ინჟინრები ცდილობდნენ რეალობად ექციათ ხელოვანთა მხატვრული ნააზრევი. სხვადასხვა ფოლკლორში, ლეონარდო და ვინჩის, ჟიულ ვერნის, ალექსეი ტოლსტოის, აიზეკ აზიმოვის, სტივენ სპილბერგის, ჯორჯ ლუკასის, იულიუს მახულსკის და სხვათა ჩანახატებში, ტექსტებსა თუ ფილმებში ასახული ფანტასტიური საგნები და ვითარებები, ინჟინერ-გამომგონებლებს აძლევდა სერიოზულ ბიძგს რეალობათ ექციათ და საზოგადოებისათვის მისაწვდომი გაეხადათ ყოველივე რაც ერთი შეხედვით უტოპიური და არარეალური გახლდათ.

**მარგარეტ ეტვუდის „ორიქი და კრეიკი“: პოსტჰუმანისტური რეალობა ბიოტექნოლოგიურ ეპოქაში**

თამთა ამირანაშვილი

ფილოლოგიის დოქტორი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**საკვანძო სიტყვები:** დისტოპიური რომანი, პოსტჰუმანისტური თეორია, ბიოტექნოლოგიური ეპოქა

წინამდებარე ნაშრომი იკვლევს მარგარეტ ეტვუდის 2003 წლის რომანს „ორიქი და კრეიკი“, როგორც ბიოტექნოლოგიური განვითარებისა და პოსტჰუმანისტური მომავლის ტრანსფორმაციის კრიტიკულ ანალიზს. რომანი დისტოპიურ მომავალს აღწერს, სადაც გენეტიკურმა ინჟინერიამ ფუნდამენტურად შეცვალა ადამიანისა და ბუნების ურთიერთობები და გააბუნდოვანა ტრადიციული საზღვრები ბუნებრივსა და

ხელოვნურს შორის. ტექსტის დეტალური ანალიზისას გამოჩნდა, რომ ეტვუდის ნარატივი ერთდროულად ასრულებს გაფრთხილებისა და კაცობრიობის ტექნოლოგიური ტრანექტორიის კრიტიკული გამოკვლევის ფუნქციას, განსაკუთრებით გენეტიკური მოდიფიკაციისა და კორპორატიული ბიომალაუფლების საკითხებში.

კრეიკის პერსონაჟი პოსტჰუმანისტური ამბიციის განსახიერებაა — მეცნიერი, რომელიც ახალ სახეობას ნაკლოვანი კაცობრიობის ჩასანაცვლებლად ქმნის — მაშინ როცა პროტაგონისტი ჯიმი/თოვლის კაცი ნოსტალგიურ ადამიანურ პერსპექტივას წარმოაჩენს, ის მოქცეულია სამყაროებს შორის. კრეიკის, ჯიმის და რომანში წარმოდგენილი გენეტიკურად მოდიფიცირებული "კრეიკანელების" ურთიერთობის ანალიზით, კვლევა აჩვენებს, თუ როგორ განიხილავს ეტვუდი კომპლექსურ საკითხებს ადამიანის სრულყოფილების, სახეობათა საზღვრებისა და ბიოტექნოლოგიური ეთიკის შესახებ.

საბოლოოდ „ორიქსი და კრეიკი“ ღრმა შეშფოთებას ავლენს ბიოტექნოლოგიის შესაძლებლობის მიმართ თავიდან განსაზღვროს/შექმნას კაცობრიობა. ამასთანავე მწერალი აკრიტიკებს გარემოსდაცვით და სოციალურ სირთულეებს, რომლებმაც შესაძლოა ისეთი რადიკალური პოსტჰუმანისტური გადაწყვეტილებები გამოიწვიოს, როგორცაა „კრეიკანელების“ შექმნა. რომანი არ გვთავაზობს მარტივ მორალურ განსჯას, არამედ დეტალურ ნაფიქრს იმის შესახებ, თუ რა განსაზღვრავს კაცობრიობას და ადამიანური გამოცდილების რომელი ასპექტები შეიძლება იყოს შესანარჩუნებლად ღირებული სულ უფრო მეტად პოსტჰუმანისტურ სამყაროში.

**სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრული მარკერები და ქართული სამეცნიერო ფანტასტიკა**

**ლევან გელაშვილი**

ფილოლოგიის დოქტორი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი (თსუ)

**საკვანძო სიტყვები:** სამეცნიერო ფანტასტიკა, ქართული ლიტერატურა, სემიოტიკა

ნაშრომში შესწავლილია სამეცნიერო ფანტასტიკის როგორც ჟანრის მარკერები და მისი მიმართება ზოგადად ქართულ ფანტასტიკასთან და კონკრეტულად ლეო ქიაჩელის მოთხრობასთან „ხეთიანის საიდუმლოება“.

სამეცნიერო ფანტასტიკაში მოვლენები მეცნიერულ კანონებს ემორჩილება, რომელსაც რეალურ დროში ვიაზრებთ. ამ ჟანრის ნაწარმოებებში, უჩვეულო და საოცარი, იქმნება მატერიალური ძალებით, მეცნიერების და ტექნიკის გამოყენებით. ფენტეზისგან განსხვავებით სამეცნიერო ფანტასტიკა, ეს არის ფანტასტიკა, ზღაპრული და მისტიკური დისკურსის გარეშე, სადაც მოვლენის ახსნა სამეცნიერო გზით ხდება და არა ზებუნებრივის მოხმობით. თუმცა, სხვა მოსაზრებით, სამეცნიერო ფანტასტიკა თანამედროვე მატერიალისტურ-ტექნიციური მსოფლიოს მითოლოგიაა, მთარული თემების დამუშავება და თანამედროვე ტექნოლოგიური ფოლკლორის შექმნის მცდელობა.

სემიოტოლოგი, ლიტერატურათმცოდნე და კულტუროლოგი იური ლოტმანი იკვლევს ობიექტის არეკვლის პირობითობას ტექსტებში, ეს პირობითობა მიიღება როგორც ბუნებრივი წესი და მისი დარღვევა კი - როგორც ფანტასტიკა.

შეიძლება ითქვას, რომ ფანტასტიკა რეალიზდება ტექსტში როგორც პირობითი ნორმის დარღვევა. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ვეჯახებით ორსაფეხურიან მოდელს: ერთი გვაძლევს მიღებული პირობითი ნორმების შესაბამისობას, მეორე შემთხვევაში სისტემაში ხდება შესაბამისობის დარღვევა და ამიტომ ტექსტში ფანტასტიკური სიუჟეტის შექმნის მექანიზმი იბადება.

ცვეტან ტოდოროვი, რომელმაც პირველი სამეცნიერო ნაშრომი დაწერა ფანტასტიკის შესახებ და ჩამოაყალიბა სისტემა დეფინიციისთვის, მიიჩნევს რომ ფანტასტიკის ჟანრის ტექსტში ერთდროულად ზებუნებრივი და ბუნებრივი ორი რეალობა არსებობს, რომელიც გამორიცხავენ ერთმანეთს.

ლეო ქიაჩელის მოთხრობაში „ხეთიანის საიდუმლო“ ტექსტის შინაგანი გადაწყვეტილების წერტილი მერყევი ბუნებით გამოირჩევა. ავტორი მერყეობს და საბოლოოდ ფანტასტიკის სასარგებლოდ იღებს გადაწყვეტილებას. და მაშინ როდესაც ნაწარმოებში უნდა დაიწყოს სამეცნიერო ფანტასტიკის ყველაზე ძლიერი შრე, სწორედ მაშინ მწერალი სვამს წერტილს. ფანტასტიკა თითქოს თხზულების დასრულების შემდეგ მკითხველის წარმოსახვაში იწყება. ნაწარმოები საიდუმლოს გახსნას უახლოვდება ტექსტთგარეთ არსებულ ნაგულისხმევ კონტექსტში. ეს არის ფინალი, ფინალის გარეშე, რომელიც მკითხველის ინტელექტუალური გამოცდილებით იძენს სრულყოფილებას.

**ადამიანის ტრანსფორმაციის მექანიზმები: ახალი ადამიანის დაბადება მეცნიერების მეშვეობით ოცდამეერთე საუკუნის დისტოპიურ ლიტერატურაში. (მიშელ უებლევკი, კაზუო იშიგურო და ზურა ჯიშკარიანი ნაშრომები)**

**ეკატერინე ჭუმბურიძე-შეწირული**

დოქტორანტი  
ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ბოლონიის უნივერსიტეტი

**საკვანძო სიტყვები:** დისტოპია, ტრანსჰუმანიზმი, სტანდარტიზაცია, მოდიფიკაცია, ადამიანის ბუნება.

დისტოპია, ეტიმოლოგიურად განსაზღვრული, როგორც უტოპიის საპირისპირო ან თუნდაც მისი ანტითეზა, დღესაც ადასტურებს მის მნიშვნელოვან ყოვლისმომცველ არსებობას დასავლურ წარმოსახვაში, რითაც იძენს კულტურულ ფორმას, რომელიც ყალიბდება თანამედროვე საზოგადოების გამოწვევებიდან. ლიტერატურა, თავის მხრივ, ასახავს დისტოპიური აზროვნების იდეებს და ითვისებს საგანს, რათა ბიძგი მისცეს იმედგაცრუებული სამყაროს წარმოდგენებს, რომლებიც აფრთხილებენ კაცობრიობას რეალობისგან წარმოქმნილ მავნე რეპერკუსიებსა და ექსეცებზე.

ამგვარად, დისტოპია - ფილოსოფიური, პოლიტიკური თუ სოციალური რეფლექსიების გზაჯვარედინზე ჩამოყალიბებული აზროვნების ფორმა - წარმოსახვითი ლიტერატურის ჟანრად გვევლინება, და კაცობრიობას აფრთხილებს წარუმატებლობისთვის განწირული უტოპიური პროექტის კომმარული ანალოგის არსებობაზე.

ლიტერატურაში დისტოპია მეოცე საუკუნეში გამოჩნდა. იგი თამაშობდა უტოპია/დისტოპიის დიქოტომიაზე და, ამავე დროს, ჩამოყალიბდა დისტოპიის ცნების ამბივალენტურობიდან, რათა არ ჩაეკეტა შეზღუდულ ბინარულ სტრუქტურაში. ამრიგად დისტოპია ასახავს აწმყოს საზრუნავს, რომელიც აღინიშნება თანამედროვეობის ძირითადი მოვლენებით-როგორცაა სამხედრო კონფლიქტები, ბირთვული საფრთხე, ადამიანის ურთიერთობა გარემოსთან და, საბოლოოდ,საკუთარ თავთან. ამრიგად, დისტოპიის ლიტერატურული ფორმა ყალიბდება ახალ გამოწვევებთან კორელაციაში, რომლებზეც ადამიანი საკუთარ თავსაც ახლებურად ავლენს.

ამ პერსპექტივიდან საინტერესოა იმის დაკვირვება, თუ როგორ უთმობს ადგილს პოლიტიკურ ტოტალიტარიზმთან დაკავშირებული საკითხები ტექნოლოგიურ ტოტალიტარიზს. შესაბამისად, ახალი ჟანრი იზიარებს ავტორიტარული და დაცემული საზოგადოებების კრიტიკისადმი მიდრეკილებას და კონცენტრირდება ბიოლოგიური აღმოჩენების, ტექნოლოგიებისა და კიბერსივრცის სიმულაკრის პრობლემებზე, სადაც ადამიანი აღმოჩნდება ხაფანგში და მის იდენტობას საფრთხე ემუქრება.

**ადამიანები და მოვლენები დროის ერთიანობის კონტექსტში (თამრი ფხაკაძის რომან „ჩვენ, თურმელების“ მიხედვით)**

**მაია ჯალიაშვილი**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი

**საკვანძო სიტყვები:** უტოპია მითოპოეტური დრო, ქართული ლიტერატურა

დროის ერთიანობა ის მყარი საფუძველია, რომელიც ადამიანის ცნობიერების სიმტკიცეს განაპირობებს. „დარღვეული დრო“ (ჰამლეტი), აწმყოს, წარსულისა და მომავლის ცალ-ცალკე აღქმა ტრაგედიის წყაროა ერისა თუ ადამიანისთვის. თამრი ფხაკაძე რომანში „ჩვენ, თურმელები“ წარმოაჩენს მითოპოეტურ დროს. რომანში მწერალი სხვადასხვა კონტექსტში და ნაირგვარი ინტერპრეტაციით იყენებს უნივერსალურ მითოლოგიურ არქეტიპებს, რათა თავისი სათქმელი სიღრმითა და მეტი მრავალმნიშვნელოვნებით დატვირთოს. ავტორი ცდილობს და ახერხებს კიდევაც რაციონალურ და ირაციონალურ, მატერიალურ და სულიერ სამყაროებს შორის ფარული კავშირები დაგვანახვოს. პერსონაჟთა თუ მხატვრულ სახეთა მეტაფორულობა და სიმბოლურობა მკითხველს ეხმარება, რომ არა მხოლოდ ნაწარმოების ზედაპირზე იტივტივოს, არამედ მის სიღრმეებშიც ჩაყვინთოს. ამ რომანში ზღაპრული, მითოლოგიური „ამბები“ ისე ბუნებრივად და ლაღად შემოდის თხრობის მდინარეებში, რომ რეალურისა და მეტაფიზიკურის საზღვრები ქრება. მითი, საზოგადოდ, გულისხმობს წამის მარადისობას და მარადიულის გამოვლენას წაშში. სწორედ წამისა და მარადისობის თანამყოფობა წარმოჩნდება რომანში. ამ ერთიანობას კი განაპირობებს ადამიანის მეხსიერება, რომელიც რასაც ვერ იტევს დასამახსოვრებლად, წიგნებსა და ნივთებში „ანაწილებს“. მომავლის განცდა რომანში სწორედ ამ მეხსიერების „მუდმივობას“ უკავშირდება.

## **თეოკრატიული მომავლის ლიტერატურული მოდელები უტოპიასა და დისტოპიას შორის**

### **ლევან ცაგარელი**

ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

**საკვანძო სიტყვები:** უტოპია, დისტოპია, თეოკრატია, ნარატივი, მომავალი

2012-2013 წლებში უცნობი ქართველი მწერლები, მარიამ ხიდემელი და გიორგი ჩალაძე, აქვეყნებენ თავიანთ რომანებს, რომლებშიც ისინი ავითარებენ საქართველოს მომავლის ახალ მოდელებს. ორივე მათგანისთვის საერთოა მომავლის თეოკრატიულ-რელიგიური ხედვა, მაგრამ სხვადასხვაგვარია ამგვარი მომავლის შეფასებები. თუ მარიამ ხიდემელის რომანში ფეთქავს სეკულარული სახელმწიფოს გარდაქმნა თეოკრატიულ მონარქიად დადებით პროცესადაა შეფასებული, გიორგი ჩალაძის რომანში საქართველო 2070 თეოკრატიული წყობილება კრიზისულ მდგომარეობადაა აღქმული. მომავლის ერთნაირი სურათის ესოდენ განსხვავებული ინტერპრეტაციები სავარაუდოდ განპირობებულია თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში წინააღმდეგობრივი, ურთიერთგამომრიცხავი ნარატივებისა და იდეოლოგიემების თანაარსებობით. თითქმის დროის ერთსა-და-იმავე მონაკვეთში შექმნილი ამ ორი რომანის სივრცობრივი, კონფიგურაციული და ინტერტექსტური ასპექტების შესწავლით

განისაზღვრება იმ ნარატივთა ძირითადი თავისებურებები, რომლებიც საფუძვლად უდევს თანამედროვე ქართულ ფუტუროლოგიურ აზროვნებას. ტექსტების აქსიოლოგიურ განხორციელებათა შედარებითი ანალიზის გზით კი შესაძლებელი იქნება იმ იდეოლოგიურ პოზიციათა წარმოჩენა, რომელთა გამოც რთულდება მსოფლმხედველობრივი კონსენსუსის მიღწევა დღევანდელ ქართულ კულტურაში.

## **ფემინური ჰეტეროტოპია, კონტრ- და უტოპიური სივრცე ქართველი ქალი ავტორების შემოქმედებაში**

### **სალომე პატარიძე**

ფილოლოგიის დოქტორი, ასისტენტ პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

**საკვანძო სიტყვები:** ფემინური სივრცე, იმობილობა, უტოპიური სივრცე

ქალები საკუთარ თავში ჩაკეტილი, სივრცით შემოსაზღვრული მოქმედებებითაა განსაზღვრული, ქალის სხეულისათვის ყოყმანი, თვითდაჯერებულობის ნაკლებობა სახასიათოა, კაცის სხეულისაგან განსხვავებით, მაგრამ ეს ბიოლოგიური განმასხვავებელი ნიშანი კი არ არის, არამედ ქალური სოციალიზაციის რეზულტატი მამაკაცურ/დომინანტურ კულტურაში. ქალური სივრცითი მდგომარებისათვის სახასიათოა „ორმაგი სივრცულობა“ , რაც გამოწვეულია „აქ“ და „იქ“ შორის უწყვეტობის შეუძლებლობით და სივრცის შემადგენელი სუბიექტის ნაცვლად სივრცეში პოზიციონირებული ობიექტის თვითგამოცდილებით. ვინაიდან სივრცითი შეზღუდვა/იმობილობა სწორედ იმ საზოგადოებრივი გარემოს შედეგია, რომელშიც ქალი პერსონაჟები ცხოვრობენ, სახლის სივრცის დატოვება და საზოგადოებრივ სივრცეში გადანაცვლება წინასწარ განწირულად ეჩვენებათ, ალტერნატივად უტოპიურ და კონტრ სივრცეებს მიმართავენ, ამათგან კონტრ-სივრცე ყველა სხვა ადგილს უპირისპირდება და დანიშნულებად მათი ამოშლა, განეიტრალება და გაწმენდა ესახება, რითაც სივრცის პატრიარქალურ სემანტიკას ეჭვის ქვეშ აყენებს. კონტრ-სივრცე არის ფაქტობრივად განხორციელებული უტოპია, კულტურული მნიშვნელობებისაგან დაცლილი ადგილი, რომელიც სრულიად განსხვავდება იმ ადგილისაგან, რომელზეც მიგვითითებს. წინამდებარე კვლევის საკითხს წარმოადგენს ფემინური ჰეტეროტოპიების, კონტრ-და უტოპიური სივრცეების მნიშვნელობათა ანალიზი და ფემინურის სივრცეთა თავისებურებებისა და მახასიათებლების წარმოჩენა ქართველი ქალი ავტორების შემოქმედებაში. საკვლევ ობიექტებად შეირჩა საფო მგელაძის, მარიჯანის, ანასტასია ერისთავი-ხომტარიას, ნაირა გელაშვილის, ლია სტურუასა და თამთა მელაშვილის ტექსტები. აღნიშნული საკვლევ ტექსტები გაანალიზდება მიშელ ფუკოს სხვა სივრცეებისა და ჰეტეროტოპიის, მერი რაიანის მენტალური რუკებითა და აირის მარიონ იანგის გენდერულად განსხვავებული სივრცითი გამოცდილებების გამოყენებით.

## ეროვნული მომავლის მოდელები მე-18 და მე-19 საუკუნეების ქართულ ლიტერატურულ ნარატივებში

ცირა კილანავა

ფილოლოგიის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

**საკვანძო სიტყვები:** პოსტმედიევალური ქართული ლიტერატურა, ბაგრატიონთა დინასტია, ქართველი კლასიკოსი მწერლები, საქართველოს მომავლის მოდელები, სააზროვნო შაბლონები/სკრიპტები

